№ 219
ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი, 1901 წ.

ხ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 219
ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩ. № ...
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

8 ოქტომბერს გარდაიცვალა

ნადვორნი სოვეტნიკი ილარიონ მგელაძე,

რასაც, გარდაცვალებულის **მეუღლე, დედა და ძმები,** მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზე დასასწრებლად ქალაქ ოზურგეთში ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს.

2—218—1

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

ბედს ვერ წაუხვალ

დრამა 4 მოქმედებად, თარგ. მ. ნასიძისა.

II

ძალად ავაზაკნი

ვოდ. 1 მოქმედებად, მ. ქღენტისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, მდივანი, ჩიქოვანი; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა 18 ოქტომბერს; მზადდება „ჯადო სიყვარულისა“, დრ. 4 მოქ.

(3—6.—2)

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოს: 1) მადნეულობის გამოკვლევა: ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში; 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეს.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე 4—6 საათ. ადრესი: Георгіевская площадь № 32.

(8—6.—4)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

მევენახეობის და მეღვინეობის კრების თავმჯდომარე აუწყებს ყველას, ვისაც-კი ჰსურს კრებაზედ მონაწილეობა მიიღოს, რომ **კრება დაიწყება 14 ოქტომბერს,** დღის 12 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

საჭირო ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ გამოფენაზედ მიწათმოქმედების განყოფილებაში კრების საქმის მაწარმოებელს ბ-ნს ვიშნევსკის დილის 10—12 საათამდე, ხოლო შემდეგ სამ საათამდე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროში.

(3—200—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი ავალიშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ც. ზ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

ზ. ზ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. ზ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

ზ. ზ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ახალი ამბავი

—

*** ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი ამ დღეებში კახეთს მიდის.

*** დღ ს, 10 ოქტომბერს, საღამოს 7½ საათზედ, დედათა პირველ გიმნაზიის შენობაში ტფილისის საზოგადო განვითარების კურსების ლექტორების სხდომაა დანიშნული, რომელზედაც ლექციების კითხვის მოწეს-რიგების შესახებ ექმნებათ ლაპარაკი.

*** მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წესდება მთავრობას უკვე დაუმტკიცებია.

*** „Нов. Обозр“.-ს ატყობინებენ დეპეშით ბათუმიდგან, რომ ქალაქის მოურავის მოადგილეთ 8 ოქტომბერს მკურნალი გრ. ვოლსკი ამოურჩევიათ. გამგეობის წევრი ივანოვი გაუშავებიათ.

*** გზათა სამინისტროს გარდაუწყვეტია რკინის გზის მოიჯარადრეთა და მუშათა შორის განწყობილების მასაწესრიგებლად რაიმე საშუალება შეიმუშავოს.

*** როგორც გაზ. „Тифл. Л.“-ს შეუტყვია, ლაპარაკი თურმე ალძრული, ერთი ნაწილი ტფილისის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო თანხისა გლეხთა საჭიროებასა და ზოგიერთს სასოფლო-სამეურნეო განკარგებას მოჰხმარდეს.

*** სართიჭალიდგან გვატყობინებენ, რომ ამ ათის დღის წინად სოფლის მახლობლად ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მწყემსი ხოსიტაშვილი მოუკლავთ. საბრალო ხოსიტაშვილი აგერ ათი დღე თურმე მინდვრათა გდია და პატრონებს არ ანებებენ, ვიდრე გამომძიებელი არ მივა და საქმეს ოფიციალურს მიმართულებას არ მისცემს.

*** როგორც შორაპნიდგან იუწყებიან, 7 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, სწრაფი მატარებლის № 1 სადგურზედ მისვლის დროს, ბარგის მზიდველს ერმოლოზ ახვლედიანს ვაგონში შესვლა თურმე უნდოდა იმ დროს, როცა ჯერ მატარებელი არ გაჩერებულიყო, ფეხი აუცდა, მატარებელს ქვეშ ჩავარდა და ორივე ხელი მოსწყვიტა. დაშავებულს მაშინვე სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს და შემდეგ სურამის საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** ტფილისის გამგეობას თავისს მოხელეთა ღამის მორიგობა შემოუღია. მორიგობა საღამოს 6—9 საათამდეა დანიშნული.

*** გუშინ, 9 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, აგრონომის ბ-ნ ფირალოვის თავჯდომარეობით, დაიწყო კავკასიის შინა მრეწველთა კრება. კრება რამდენსამე დღეს გასტანს.

*** კავკასიის გამოფენაზედ ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ აღშენებულ ქალაქის პავილიონისათვის გადადებული იყო 5000 მან., მაგრამ, რადგანაც ეს ფული არ-ეყოთ, დამატებით დაუხარჯნიათ კიდევ 1500 მან.

*** 6 ოქტომბერს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ალექსანდრე ტამატაძისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ჰბრალდებოდა, გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და ბრალდებული გაამართლა. ოლქის სასამართლოსაგან ტამატაძეს ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება ჰქონდა გარდაწყვეტილი.

*** პოლიციის მე-4 ნაწილში ახალ ბებუთოვის ქუჩაზე პოლიციელმა იპოვნა ერთი თვის დაბადებული ბავშვი, რომელიც ტფილისის საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

*** ტფილისის მეორე გილდის ვაჭარს ბადალ ნიკიტას ძე ულიბეგოვს გუშინ ტფილისის სამოსამართლო პალატამ გარდაუწყვიტა ზოგიერთი უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3½ წლით გაგზავნა. ულიბეგოვს ის ბრალი ედებოდა, რომ მას თავის მოსამსახურე თელავის მცხოვრებ ალექსანდრე ვართანოვისთვის, საჩუქრის შეპირებით, ტყუილი უთქმევინებია სასამართლოში. ვართანოვს მოსამართლესთან ფიცის ქვეშ ეთქვა, რომ ულიბეგოვმა 260 მან. უკვე გარდაუხადა ივანე ლისინოვსაო.

წერილები ინგლისიდგან.

წერილი მე-31

ყაირათობა მწარმოებელ კლასთა შორის.—მთავარ ფოსტასთან არსებულ შემნახველ კასის ანგარიში.—რაოდენობა იქ შენახულ ფულისა.

საოცრად გაიზარდნენ და გადიდნენ შემნახველი ამხანაგობანი და ხელმოკლეთა ფულის შესანახი სახელმწიფო კასები. გაიზარდა და გადიდდა აგრეთვე იქ შეტანილი ფულიც. პატარა სახელმწიფოებსაცკი—დანიას, შვეიცარიას,ბელგიას—ათ და ასს მილიონობით უწყვიათ ფული შემნახველ კასებში; ხოლო დიდ საფრანგეთში, სადაც გლეხობა სხვა რომელისამე სახელმწიფოს გლეხობაზედ მდიდარია, სახელმწიფო შემნახველ კასის ფული რამდენსამე ასს მილიონს აღემატება.

ეს ფული სავსებით გლეხების, მუშებისა და წვრილ მოსამსახურეთა (ეზოს მცველთა, დამტარებელთა, კონდუქტორთა, ხელზედ მოსამსახურეთა და სხვათა) საკუთრებას შეადგენს, რადგანაც, შემნახველ კასების წესით, კერძო კაცის შესატანი თანხა ერთიდგან ორ ათასამდე მანეთითაა განსაზღვრული. ამით სახელმწიფო აიძულებს უფრო მდიდართ, თავიანთი ფული სახელმწიფო საბანკო, სააქციონე-

რო და სხვა კერძო დაწესებულებებში მოათავსონ. დიდ თანხებს, კერძო კაცების მიერ შეტანილს, ამ კასებში იშვიათად შეჰხვდებით, განსაკუთრებით კანტინენტზედ; ას მანეთიანი თანხებიც-კი ნახევარზედ ნაკლებია. ფულის შემნახველთა უმრავლესობას გროშების შემტანნი შეადგენენ, ღარიბნი, რომელნიც ორიოდე კაპეიკს ინახავენ შავის დღისთვის სიბერისა, ავადმყოფობისა, უმუშავრობის დროს ხელის გასამართავად.

მორალისტებსა და ეკონომისტებს ძალიან უყვართ ქება-დიდება მუშა კლასთა ყაირათობისა და ეკონომიისა. ყაირათობის მქადაგებელნი მზად არიან იმის დამტკიცებასაც შეუდგნენ, რომ დღევანდელი საზოგადოებრივი უბედურებანი, სიღარიბისა, უვიცობისა და გადაგვარებისაგან წარმომდგარნი, ისეთი უბედურებანი, მაგალითად, როგორსაც დღეს იტალიასა, ირლანდიასა და სხვა ქვეყნებში ვხედავთ, შეიძლება თავიდგან აცილებულ იქმნენ მუშათა და გლეხთა ყაირათობისა და ეკონომიის წყალობით. ყაირათობის დამკვიდრებას, ე. ი. ჰიგიენურ, გონებრივ და, ასე გასინჯეთ, ადამიანის ზნეობრივ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობას, ხალხის ეს მეგობარნი უპირველეს სოციალურ სიბრძნედ სთვლიან. და ისეთის მეცადინეობით ავრცელებენ მოძღვრებას ყაირათობის შესახებ, რომ მუშათა ბავშვებსაც-კი ურჩევენ შავის დღისთვის გადასდონ ხოლმე ის იშვიათი გროშები, რომელსაც ათასში ერთხელ დედმამა აძლევს ტკბილეულობისა და სათამაშოების შესაძენად. ამ აზრით შემაიღეს საბავშო და სასკოლო კასები; ამავე აზრით დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული „პენნის ბანკებიც“ (სამ კაპეიკიანი ბანკები), სადაც სამ კაპეიკიან შესატანს იღებენ. ლონდონში ეხლა ამ პენსებისათვის რკინის გზების დიდ და პატარა სადგურებთან ფულის მექანიკურად მიმღებმანქანებსაც სდგამენ.

ყველა ეს საამო და საქებურია. ყაირათობა, ზომიერება კარგი და სათნო საქმეა. ფლანგვა, ქონების უანგარიშოდ ფანტვა ძველადგანვე „უძღებ შვილის“ ავ ზნედ არის მიჩნეული. მაგრამ განა მფლანგავნი არიან დღიური მომუშავენი და გლეხნი, მაგ., იტალიაში, სადაც საშუალო სამუშაო ფასი ერთ ფრანკს არ აღემატება და სადაც (ბევრ პროვინციაში) სოფლელი მუშა დღეში 60-დგან 70 სანტიმამდე (30—35 კაპ.) იღებს? განა ყაირათი ასეთ შემთხვევაში საჭმლის აღკვეთას არ წარმოადგენს, სტომაქის უსაჭიროეს მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობას, თავის განწირვას, დაუძლურებისა, ადრეულ სიბერისა ტ. გადაგვარებისათვის ნიადაგის მომზადებას? მდიდარ ქვეყნებშიაც-კი, როგორც, მაგალითად, საფრანგეთსა და ინგლისში, ყაირათი მუშათა კლასს შორის, ჩვენის აზრით, წარმოადგენს იმ ლუკმა პურის ნაწილს, რომელსაც მოუძლურებული დედა იკლებს, რძეს, რომელსაც თავის სუსტ შვილებს პირიდგან აცლის... არის ხოლმე ისეთი ეკონომიური პიროობანი, როდესაც ხალხს ყაირათობის ნაცვლად უნდა ჩაეგონოს აზრი უკეთესის კვებისა, ჰიგიენურად ცხოვრებისა, კარგის ტანისამოსის ხმარებისა. ხალხი, რომელსაც მცირე მოთხოვნილება აქვს, ყოველთვის მოკლებულია ინიციატივასა და მხნეობას. ასეთი ხალხი თავის ცხოვრების გასაუმჯობესებლად არ ებრძვის არც ბუნებას და არც არსებულ საზოგადოებრივ რუტინას. მოთხოვნილებანი, იმათი დაკმაყოფილება ადამიანის და მთლად ორგანიულ ცხოვრების მოქმედების მთავარ საფუძველს შეადგენს. თუ მოთხოვნილება მცირეა, სუსტია მოქმედების იმპულსიც. ორგანიზმის სისუსტესთან ცხოვრების მაჯის ცემაც კლებულობს.

უმთავრესი-კი ის არის, რომ გროშების ყაირათს ნაყოფიც საცოდავი მოაქვს, თუმცა ერთად ეს გროშები მეტად დიდ თანხას წარმოადგენენ. საუკეთესო მაგალითი ამისი ინგლისია. წარსულ საუკუნის განმავლობაში მთელ დედამიწას იმისა ინდუსტრია, ნავოსნობა და ვაჭრობა ჰბატონობდა. იმისმა მუშა კლასებმა, კავშირებად შეერთებულებმა, უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც ბევრად უფრო დიდი სამუშაო ფასი მოიპოვეს, ვიდრე კანტინენტის მუშებმა. ფულის შეძენის წყურვილი, კომერციონიზმი, ყაირათობა აქ უფრო დიდია, ვიდრე სხვაგან სადმე. ფულის შეტანა და შენახვაც უფრო ადვილია აქა საფოსტო კანტორებთან გამართულ კასების წყალობით (კანტორა-კი აქ 13,341-ია)... მერე რა? ყველა ამის მიუხედავად, უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში მუშა-მწარმოებელ ინგლისის მიერ შენახულ და ყაირათ გაწეულ ფულიდგან თვითეულ მცხოვრებზედ მოდის 30 მანეთი 72 კაპეიკი. უფრო გასაგებად რომ გადმოგცე, მკითხველო, წელიწადში თვითო კაცს თვითო მანეთის ყაირათი გაუწევია. ერთადკი ის ფული, რაც კასებში შეუტანიათ, მეტად დიდ და განსაცვიფრებელ თანხას წარმოადგენს— 1.229,000,000 მანეთს!

აი ეს დიდი თანხა უბნევს გზა კვალს ყაირათობის მეოხებით მუშათა ცხოვრების გაუმჯობესებისა და პროგრესის მქადაგებელთ. მერე, რას ამტკიცებს ეს დიდი თანხა?—იმას, რომ ყველა ერს საზოგადო გაჭირვების დროს შეუძლიან დიდ ფულს მოუყაროს თავი; რომ დღევანდელ კაცობრიობის ხელში დიდ ძალი ფული ტრიალებს, იმდენად დიდძალი, რომ შეძლებულ მუშათა და წვრილ მოხელეთა პატარ-პატარა შესატანიდგანაც-კი სულ უბრალო საქმეა რამდენსამე დღეში მთელის მილიარდების შედგენა.

საუცხოვო მაგალითს ამისას წარმოგვიდგენს ხელის მოწერა საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების სესხზედ. რაც შეეხება თვით ფულის შემნახველთ, ყაირათის გამწევთ, შენც დამეთანხმები, მკითხველო, რომ 30 მანეთით ჩვეულებრივი ინგლისელი ბევრად ვერ გააუმჯობესებს თავის ცხოვრებას. სულ სხვა იქმნება, სახელმწიფო, საზოგადოება და კერძო კაცნი მცხოვრებთა მომხმარებლობის გადიდებას რომ სცდილობდნენ. პენნი რა არის, მაგრამ თვითვეულმა კაცმა რომ თითო პენნი მეტი მოიხმაროს და თავის საჭიროებაზედ დახარჯოს, მთელ სახელმწიფოს, 40 მილიონ მცხოვრებს, წელიწადში 600 მილიონ მანეთის წარმოება მოემატება.

სამწუხაროდ, დღემდე საუკეთესო საპოლიტიკო და სახელმწიფო მოღვაწენი და ეკონომისტნი სახელმწიფო საჭიროებისათვის ხარჯის გადიდებასა და ყაირათობით გადადებულ ფულის შეკრებას უფრო სცდილობენ, ვიდრე სახალხო მომხმარებლობის გაძლიერებას და ხალხისათვის საქონლის წარმოების განვითარებას. მაგრამ მოვა დრო, როდესაც საზოგადოებრივი მეცნიერება შეითვისებს ამ პრინციპს, ხოლო სახელმწიფო მოღვაწენი იხელმძღვანელებენ იმით. მაშინ ბოლო თუ არ მოეღება, შესუსტდება მაინც უცხო-ქვეყნებში ბაზრების ძებნა საქონლის გასასაღებლად. მაშინ ინდუსტრიას, მრეწველობასა და მიწად-მოქმედებას შინაურ ბაზრებშიაც საკმაო საქმე აღმოუჩნდება; დასასრულ, მაშინ საზარალო შეიქმნება მთლად ეს ბაზრებისათვის მტაცებლობის პოლიტიკა სპარსეთსა, ოსმალეთსა, ჩინეთში, სადაც მცხოვრებთა მომხმარებლობითი ნიჭი ევროპიელებთან შედარებით ბევრათ დაბლა სდგას.

ვ. მარველი

ქალაქის საბჭო.

ორშაბათს, 8 ოქტომბერს, ქალაქის მოურავის მოადგილის მ. ს. შესტაკოვის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც 28 ხმოსნამდე დაესწრო.

პირველად შესტაკოვმა ქალაქის მოურავის გ. ევანგულოვის გარდაცვალების გამო მიღებულ სამძიმარ დეპეშების შინაარსი აცნობა საბჭოს და შემდეგ, აღნიშნა რა გარდაცვალება საბჭოს ყოფილ ხმოსნის გ. დ. ქართველიშვილისა, რომე-

ფელეტონი

ხალხური ლექსი.

(გურიაში ჩაწერილი ნ. ა. თავდგირიძის თქმით)

გოგო, გოგო, შავთვალაო,
ბიჭმა შემოგითვალაო:
„ან ნომეც ჩემი დანაო“
„ან წამომყევი თანაო.

—

—„ვიკი, ვიკი, ვინც არიო...
„წადი, ასე უთხარიო:
„დღეს წისქვილში დაგიხვდები,
„წვიმა იყოს, გინდ ქარიო!

—

„ბათმანს სიმინდს წამოვიღებ,
„ვითამ დასაფქვავადაო,
„წამოვიღებ და წამოვალ
„შენდა სანახავადაო.

—

„მერმე სიმინდს ვინ დაეძებს,
„იქ დავტოვოთ წისქვილშიო,
„წისქვილს გაღმა ტყეში შევძვრეთ
„და წავგორდეთ ხის ძირშიო!..“

ბრუსილოვი მოჰკლეს.

(დასასრული *)

ბურთი ყველას დაავიწყდა. ამდენმა კაცმა, ცხენოსანმა თუ ქვეითმა, ერთად იგრიალა მთის ნიალვარივით და გასწია იქითკენ, საიდანაც ეს შემზარავი ხმა მოისმა. მეც, სხვასავით, ამიტაცა ადამიანების ცოცხალმა ტალღებმა და ისე გამარბენინეს მთელი ის მინდორი, რომ მიწაზე ფეხი არ დამიდგამს. ბევრი ქალი და ბავშვი, მოხუცი და ვაჟკაციც დაშავდა ამდენის ხალხის აზვირთებით გაქცევაში, მაგრამ მაშინ ვინ ჰფიქრობდა ამას.

— „ბრუსილოვი მოჰკლეს!.. არ გაუშვათ მკვლელი, არ გაუშვათ!“ ისმოდა ყოველ მხრიდან და ყველასაგან.

შეინძრენ და მორბიდენ ისინიც, ვინც სოფლათ დარჩენილიყო. ვინ კეტით მიისწრაფოდა, ვინ თოფით ან სხვა იარაღით; ვისაც არაფერი ჰქონდა, ღობეს აძრობდა სარს და იმითი მოეჩქარებოდა „არ გაუშვას“ ძახილით. მალე ადამიანებს აჰყვა საქონელიც და ყურთა სმენა წაიღო ათას გვარათ ხმა არეულმა ღრიალმა. ელვასავით გამირბინა თავში: ბრუსილოვისათვის თვალი რომ არ მომეშორებინა, იქნება ვერ მოეკლათ და ჩემი შვილი... მაგრამ აზრის დასრულება არ დამცალდა; ეს უზარმაზარი ბრბო უცებ გაჩერდა და, რისაც ვფიქრობდი, დამავიწყებინა, ისე მიმახეთქა ვიღაცებს და მეც მომეხეთქენ ყოველ მხრიდან... რანაირათ ავძვერი თვალ-უწვდენელ კაპიტის შუამდე, ვერ გაგიგე, რადგანაც გონებას მაშინ მოვეგე, როცა იქვე, სულ ახლოს, მომესმა:—„აქ ბრძანდება! ცოცხალია! ნუ გეშინიათ! ცოცხალია!“ გადავიხედე და ბრუსილოვი დავინახე ჩირგვებიდან მომავალი... მაგარ-მაგარ რუსულ სიტყვებს ხარჯავდა ყველა ჩვენებურებზე, გაგულისებული დათვივით მობღუზურობდა და ისე მოდიოდა... მუხლის თავებზე და, რომ გამშორდა, ნიდაყვებზეც მტვერი დავუნახე... მის უკან მოლაპარაკობდენ მაცთურათ მოღიმარნი, დაქვეითებული ათიოდე ცხენოსანი თავადიშვილები. მინდვრათ რიმ გამოვიდენ, ერთმანეთს რაღაც ჩაულაპარაკეს, გაიწ-გამოიწიეს და ხალხს დაახვევინეს შუაგულ მინდვრისაკენ; ალარავინ არ დატოვეს იმ მზღვარზე, სადაც მე, ხიდან ჩამოსულა, ვიდეგი.

ერთი მათგანი, შორი ახლო ნაცნობი ჩემი, მომიახლოვდა და მთხოვა მისი ცხენი ცოტა ხნით დამეჭირა სადავით, — აგერ მეზობლისას მინდა ჩავიდე, პირი გავისველოვო. როგორც-კი დამიტოვა ცხენი, მაშინვე მოვაჯედი უნაგირს და უცნაურმა ცნობის მოყვარეობამ მომანდომა გადახედვა იმ ჩირგვნარისკენ, საიდანაც ბრუსილოვი და ის ცხენოსნები გამოვიდენ... მივანებე ცხენს სადავე და ნელის ჯარებით გავსცილდი მათ და დობილოში შევრგე თავი. უცებ რაღაცა ძაღლის მსგავსმა ჩამირბინა... ცხენი დაფრთხა, გახტა განზე და, მე, შენი მონა, ტახტის აზნაური ყრონტი, კაი მაგრა მსდვა ბარდ-ეკალზე, ისე, რომ ხელ-პირი საფანტ-ნაკრავივით დამისისხლიანა. როგორც იქნა ავდექი, გადავისვი თვალებზე ხელი, მიმოვიხედე—ცხენი აღარსად ჩნდა. არ შემიწუხებია ამითი მაინც და მაინც თავი—ვიცოდი, ან ის პატრონს მოსძებნიდა, ან პატრონი მას, ახლა საზრუნავათ შემექნა ხელ-პირის დაბანა. მინდვრით მოსახლეებისას გადავსულიყავი—არ მინდოდა, იქვე შევუდექი ბინულის (წყაროს) ძებნას—ხომ მოგეხსენებათ, ჩვენში რა ხშირია ეს მიწის ძუძუს მადლიანი რძე... არ გამიდგამს არც ორმოცი ბიჯი, რომ მომესმა ნელი ჩუხჩუხი... გავუჩქარე, გავედი საცალ ფეხო გზაზე. დობილო გათავდა, დაიწყო ტყე. ჩუხჩუხი უფრო მკაფიოთ მესმოდა, მაგრამ წყალს ვერსად ვხედავდი. დაბნეულ აბხაზივით მივენდე ჩემს ყურთა-სმენის ალღოს, გადვიარე ის ბილიკი, მივადეგ ეკლითა და კრიკინათი გადაბურდულს ჩირგვს. ძლივს გადავსწიგადმოვსწიე აქით-იქეთ ბარდი და დავინახე—პაწაწა ღელე ქურდულათ მიიპარებოდა იმ ხშირ ეკალ-ბარდში.

გავძვერი, მარა ჩემსავით არ გაჭირვებია არც ჩვენებურს დაუღლებულს ქათამს პოსტნის ღობეში გაძრომა. ხელ-პირის დაბანას რომ შევუდეგი, კაცის ხმა მომესმა. დავუგდე ყური. ქალების ხმა გავარკვიე... გავკმინდე სული და გადავიქეცი სმენად... ხმა თან-და-თან ახლოვდებოდა.

— ასე წაბრძანდი, ჩემო თვალის სინათლეო!.. აქეთ, ჩემო დიდებაო!... მე მომყევი, ჩემო ბატონო!... ნუ სწუხარ, შენ შემოგევლოს შენი პირმთვარისა!.. შენ არ მომიკვდე, იმან შენ აწი აღარ მიგატოვოს! დიდი კაცია, შენ გენაცვალე, და დიდკაცობის ზნე ხომ იცი: ლამაზ ქალზე რომ გულს შეექნება, სანამ სასიყვარულოთ არ შეეყრება, მანამ არ დაწყნარდება... მე აგერ არ გყავარ, შენ შემოგევლოს ჩემი თავი... მაგისთანა საქმეები მომიხერხებია და მომინამუსებია განსვენებულის ჩემის ქალბატონის ტ. შენი დედამთილისათვის?!.. ჰაიპე, ჰაიპე, ჰაიპე!.. ის ხომ არ გეფიქრება, შენ გენაცვალე, რომ აგებ ვინმე შემხედავდაო! შენ არ მოუკვდე ჩემს თავს, ისე დროიანათ გამოვსწიეთ, რომ ჩვენ თვალს ვერავინ მოგვკრავდა. ამის ჯავრი ნუ გაქვს...

ამას ამბობდა აჩქარებით და სულ-დაუთქმელათ მოხუცებული, მომცრო ტანის, წელში მოხრილი, ძველ ქათიბა ჩაცმული ქალი. ის გამდელი უნდა ყოფილიყო. მას უკან მოჰყვებოდა ყმაწვილი ქალ-ბატონი, მდიდრულათ ჩაცმული, ლამაზი, თვალტანადი, ისეთი კაი გვარისა და დიდი ოჯახის შვილი რომ... ახლაც გულს ჩამთუთქავს, რომ გამახსენდება... ეტყობოდა ძალიან შეეშინებია გრიალ-ღრიალით იმდენი ხალხის მოულოდნელათ თავზე წადგომას. შიშისაგან ჭკუაც ოდნავ არეული უნდა ჰქონოდა, ისეთს სიტყვებს ხარჯავდა... ჩიხტა-კოპი გვერდზე მოქცეოდა, როგორც ბუხრის ქუდი კახელ დარდიმანდს; სახე გაფითრებულს, ტუჩებზე ლაინის ფერ ეკრა, წამოწითლებულს თვალებ ყურდგელსავით მიმოატრიალებდა... ეტყობოდა, გამდელს არ უსმენდა მისი გულის ყური არეული იყო...

— „ჰო“ რა მოხდა ისეთი, რომ არ ქნილა... ამბობდა ის ხვნეშით და ნაწყვეტ-ნაწყვეტ... რა იქნა...

*) იხ. „ივერია“ № 218.

ლიც თითქმის 10 წელიწადი იყო ხმოსნად, სთხოვა საბჭოს პატივი ეცა განსვენებულის სახელისათვის ფეხზედ ადგომით, რაც შესრულებულ იქმნა. აცნობა საბჭოს ბ-ნმა შესტაკოვმა აგრეთვე ის, თუ რა მონაწილეობა მიიღო ქალაქმა საიუბილეო დღესასწაულების გამართვაში. ქალაქის მიერ ამ საქმისათვის დანახარჯ ფულის რაოდენობა დაწვრილებით ჯერ არ არის გამორკვეული.

შემდეგ საბჭოს განსახილველად წარუდგინა გამგეობის მიერ შედგენილი ქალაქის თვით-მმართველობის ამა მომდინარე 1901 წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა. სულ აქამდე დახარჯულ და წლის დამლევამდე საჭირო ფულის ჯამი შეადგენს 58,638 მან. საბჭომ, გამგეობის მოხსენების თანახმად, დაამტკიცა შეუცვლელად დამატებითი ხარჯთ აღრიცხვა და ამასთან ნება დართო გამგეობას ეს გარდაწყვეტილება ეხლავე წარუდგინოს ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს დასამტკიცებლად.

ამას წინად ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა გამგეობას ახალ ხმოსნების არჩევნების შესახებ; ამაზედ თავისი დადგენილება გამგეობამ ჯუშინ წინ წარუდგინა განსახილველად საბჭოს, რომელმაც უკამათოდ დაამტკიცა იგი. ამ დადგენილებით, ქალაქის გამგეობაში ეხლავე უნდა შეუდგნენ ხმოსანთა საარჩევნო სიების შედგენას და სხვა მზადებას; უნდა გამოცხადებულ იქმას გაზეთების საშუალებით ქალაქის უძრავ ქონებათა პატრონების საყურადღებოდ, რომ ვისაც უნდა მონაწილეობა მიიღოს ხმოსანთა არჩევანში, ეხლავე უნდა შეიტანოს მაზედ დარჩენილი გარდასახადი. ამასთან იმ მემამულეებმა, რომელთაც ქალაქის ორ-სამ ნაწილში აქვთ ქონება, აცნობონ გამგეობას, რომელ საარჩევნო ნაწილში ისურვებენ ჩაწერას. საარჩევნო საქმეების სამზადისი დაევალა გამგეობის, პირველს განყოფილებას, რომელშიაც დაახლოებითი მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალაქის მდივანმა ბ-ნმა სტ. თ. ჭელაშვილმა.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ წარსულ მარტში საბჭომ გარდასწყვიტა ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის არჩევანი გადასდოს ხმოსანთა ახალს არჩევნებამდე; მაგრამ რადგანაც ქალაქის მოურავის ევანგულოვის გარდაცვალებით შეიცვალა ის პირობები, რომელნიც საბუთად გამოიყენა მაშინ საბჭომ, და ეხლანდელი გამგეობა ველარ ასდის საქმეს, გამგეობამ დაადგინა სთხოვონ საბჭოს შესცვალოს წინანდელი გარდაწყვეტილება. საბჭომ, ცოტა ოდნის კამათის შემდეგ, გარდასწყვიტა გაუქმებულ იქმნას წინანდელი დადგენილება და ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის არჩევანი მოახდინოს 23 ოქტომბერს. გამგეობის დადგენილებას ქალაქის საალმშენებლო განყოფილების სავალდებულო დადგენილებათა მე-24 მუხლის შეცვლის შესახებ საბჭო არ დასთანხმდა და ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, ამორჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელმაც 2 კვირის განმავლობაში უნდა გაარჩიოს აღნიშნული მუხლი და ხელახლად განსახილველად წარმოუდგინოს საბჭოს.

დასასრულ საბჭოს ეცნობა ქალაქის კასის გაქურდვის ამბავი. ამ ამბავმა ძალიან გააოცა ხმოსნები. მათ მოითხოვეს ცნობები იმის შესახებ, რა წესია მიღებული ქალაქის ქონების დასაცველად ბოროტგანმზრახველთაგან. წარდგენილმა ცნობებმა ვერ დაკმაყოფილა ზოგიერთნი და მოითხოვეს, გამგეობამ ვრცელი მოხსენება წარადგინოს ამის შესახებ, რათა საბჭომ თვით შეადგინოს სავალდებულო წესი ქალაქის ქონების დაცვა-პატრონობისა. საბჭომ გარდასწყვიტა: 1) მიიღოს მხედველობაში მოხსენება ბოროტმოქმედების შესახებ, 2) დაავალოს გამგეობას შეადგინოს მოხსენება საბჭოში წარსადგენად ქალაქის ქონების შენახვის საუკეთესო წესის შესამუშავებლად და 3) გადაიდოს 1000 მანეთი პოლიციის დასახმარებლად და ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად.

უცხოეთი

—

იაპონია. იაპონიელი მარკიზი იტო გაემგზავრა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულს შტატებში 50,000,000 დოლლარის სასესხებლად რკინის გზების გასაყვანად იაპონიასა და კუნძულს ფორმოზაზე. ნიუ-იორკიდამ იუწყებიან, ვითომც იტო დიდად ხელ-საყრელს პირობებს იძლეოდეს; პროცენტების და კაპიტალის გადახდის გარანტიას თითონ მთავრობა აძლევს.

სამხრეთი აფრიკა. ბოტასა და იმის რაზმს ინგლისელები ნატალის აღმოსავლეთის მხარეს უპირებდნენ მომწყვდევას; როგორც ეხლა იუწყებიან, ბოტას თავისი რაზმი პატარა რაზმებად დაუყვია და ისე დასხლეტია ხელიდამ ინგლისელებს.

ისპანია. მთელი თვის განმავლობაში ისპანიიდამ კარლისტების მოძრაობის შესახებ იუწყებიან. სხვა-დასხვა გაზეთების კორესპონდენტები დარწმუნებით ამბობენ, რომ კარლისტებს ძლიერი ორგანიზაცია აქვთ შექმნილი და მალე რევოლიუციონურს მოძრაობას დაიწყებენო. გავასის სააგენტო უარ-ჰყოფს ამ ხმებს, არავითარს კარლისტების მოძრაობას არ ელიანო. „Neu-Iork-Herald“-ის კორესპონდენტი იცნობება სერბერედამ, კარლისტების მიტინგზე ქალაქს პერპინიანში გენერალის გურას თავმჯდომარეობით გადასწყვიტეს გადაიარონ ლერდუე, შევიდნენ ისპანიაში და დაიწყონ ამბოხება. ბარსელონაში გუბერნატორს და ჟანდარმების უფროსს მიუღიათ ცნობა, რომ ქალაქს იგუალადში კარლისტების მოძრაობა უკვე დაიწყოო. იგუალადი ცნობილი ქალაქია მრავალს სამოქალაქო ომებში.

ავსტრო-უნგრეთი. 28 სექტემბერს ქალაქს ლვოვში მოხდა ყრილობა რუსინთა სტუდენტების, ქალების და ვაჟებისა. სტუდენტებმა ერთხმივ დაადგინეს, შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ლვოვის უნივერსიტეტში პარალელური კათედრები დაარსდეს იურიდიულს, სამედიცინო და ფილოსოფიურს ფაკულტეტებზე და ამ კათედრებიდამ რუსინთა ენაზე იყოს ლექციების კითხვა. დაადგინეს აგრეთვე, რუსინთა ენა იქმნას შემოღებული უნივერსიტეტის მთავრობის სტუდენტებთან მიწერ-მოწერისა და მოლაპარაკებისათვის, და რუსინთა ენაზედაც მიეცეს უფლება სტუდენტებს სახელმწიფო ეგზამენები დაიჭირონ.

შემოწირულება

—

რედაქციამ მიიღო ბ-ნის გრ. ვოლსკის მიერ ოდესის უნივერსიტეტის ღრმად პატივცემულ პროფესორის ვ. პეტრიაშვილის სახელობაზედ ამავე უნივერსიტეტში სტიპენდიის დასაარსებლად ბათუმში შეკრებილი 60 მან. (პეტრიაშვილს 30 წელიწადი პროფესორობისა და სამეცნიერო მოღვაწეობისა ამ წელს უსრულდება) და მასთან შემდეგი სია შემომწირველთა:

ტაკიშ-ოღლი ახმედმა,—ათი შ., ჯაკობიამ პავლემა და სანაძემ სიმონმა—თითო მანეთი, ტოროტაძემ, ოგანეზოვმა მიხაილმა, პაპანდოპულომ არიზტადმა, ენფიანჯიანცმა ამბარცუმმა და კესოღლიმ თედორემ—ათ-ათი შ.ური, ხაჯი-ოღლი ხუსეინმა—აბაზი, ლისენკომ—ხუთი შაური, ირიზელიანიმ—ექვსი შაური, თემელ-ოღლი მუხტაფამა და ფაკ-ოღლი ალიამ—თითო აბაზი, ქორ-ოღლი პანაიოტმა—ორი აბაზი, თაგანოვმა დავითმა, ოგანეზოვმა იოსებმა და გორგორ-ოღლი ფეოლოგიმ—ათ-ათი შაური, კოროტკოვმა ალექსეიმ—სამი აბაზი, ზეინალ კულიევმა—ერთი მანეთი, აირაპეტოვმა კ., რეჯებ-ოღლიმ ასანმა, გიგაშვილმა, არნოპულოსმა ივანემ და კლაჯეიშვილმა ივანემ—ათ-ათი შაური, თედორე არჩაიამა და №-მა—ორ-ორი აბაზი, გელაზაროვმა ნესტორმა—ათი შაური, ცერცვაძემ კონსტანტინემ—ორი აბაზი, ფირუმოვმა გრიგოლმა, პიასტოპულიმ ილიამ—ათ-ათი შაური, გიორგი კუკულაძემ და გრიგორი დანიელოვმა—თითო მანეთი, №-მა და №-მა ათ-ათი შაური, №-მა—ექვსი შაური, ლავრენტი ხუნგიამ—ერთი მანეთი,

---

მთელ ქვეყანას რომ მოუყრია თავი... ბრუსილოვს ჩვენში ვინ შეგედავდა სასიკვდილოდ... ასე როგორ გამოსულელდა ამდენი კაცი... შენ დამიფარე უფალო!... აი, თავს ლაფი დავასხი მანდილაშვილს და მის თარჯიმნობას! კაი აზნაური და ვაჟკაცი ის არ იყოს!.. ამისთანა საქმეში კაცს თუ ულვაში ასხია, მზირობას იკადრებს?!.. უბძანეს ყარაულობა, უნდა ეყარაულნა... თუ ლაჩრობს და მოყურადებას კადრულობს, ყური მაინც უნდა უვარგოდეს... თვარა... რა იყო თქვენი ჭირიმე... რუსის დიდკაცმა... რა უყოთ მერე...

— ქალბატონის რძალო, შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე, სულ დაივიწყე ეს შემთხვევა... გულს ნუ მოიყვან... მალე შენი მტერი და ცვი შეჭამოს ჭირმა, მალე შენ ისევ იმ დიდ კაცს შეხვდე... არა, ეს კი უნდა ვსთქვა გამოტეხილი, რომ ამ საქმეში რაც მოხდა, ყველაფერს მიმხვდარი ვარ, მხოლოთ ის ვერ გამიგია—რა აღრიალებდა იმ წუწკ მანდილაშვილს—ბრუსილოვი მოჰკლესო?

— ბეჩა, პირმთვარისა, მანდილაშვილზე უფრო ახლო შენ არ იყავი!.. გამოასულელებს ჩემი გამჩენი იმას, მაინც არ არის ჭკუიანი!.. ღენერალმა მაყურჭათ შეკრულს ვერაფერი გაუგო... მე მოკლეს ბატონო თქვა, ვუთხარი და..დედა... მორთო მაგ შერცხვენილმა მანდილაშვილმა ღრიალი: „ბრუსილოვი მოჰკლეს!.. ბრუსილოვი მოჰკლეს!“.. ქვე არ წამომაყენა ამდენი ერი და დარბაისელი თავზე!..

— მერე და ჭირი მოგჭამე... ეა აქ ჩუმათ ჩაუჩურჩულა რაღაც ყურში გამდელმა გაზრდილს.

— ვა-ბეჩა, პირმთვარისა, გამოსულელდი, მგონია, ამ სიბერის დღეს... ჩემით რავა, უნამუსო ვიყავი თუ!!..

— ეს... მერე არაფერი.... გულზე გასკდა, რატომ ცოლი ან ქალი არ აირჩია ჩემიო, და ვითომ შემარცხვინა... დედა... აბა, რა სირცხვილია თურმე... ქვეყანაში პირველს კაცს, ხელმწიფის ტოლს თუ მოეწონე!..

— მეტი არ შეეჭამოს ჭირმა, ღენერლის სიყვარული სირცხვილი და თავის მოჭრა არ იყოს... მარა, ჩემო სულის დგმა ქალბატონო, რათ არ მიჯერით, ჩვენთვის არავის მოუკრავს თვალითქო, რომ მოგახსენებთ?..

ამ ლაპარაკით ორნივე ჩაცილდენ იმ ადგილს, სადაც ვიყავი და მერე აღარაფერი გამიგონია მათგან.

— ძალიან არ გაგიკვირდებოდა მაგისთანაების გაგონება! ჩავუმატე მე.—

— გაკვირვებით? აჰ... აგცდეს კაცხის ზარბაზანი, გაკვირვება მე მაშინ ამცდა. მაგისთანა საქმეები, ბატონო, იმ დროს, რუსები რომ ახალი შემოსულნი იყვნენ ჩვენში, სულ ხშირი შეიქნა, აღარავის უკვირდა... მაშინდელი მოხუცებულნი რუსებს აბრალებდენ... მარა... აჰ... ეს ტყუილი უნდა იყოს... მართალია, კბილს დალაქი თხრის კაცს, მაგრამ იმიტომ, რომ კბილის პატრონს უნდა... და თვით კბილიც არ ვარგა... გაგიგონია ძალათ რომ ვისმეს მოთხარა დალაქმა კბილი?! როგორ გეკადრებათ... დროს ვერ ავყევით, ვერ დავხვდით მომზადებულნი და დავეცით ზენით,—მეტი არაფერი... უპირველესი ბრალი ჩვენვე გვედება.

— ჰო, მერე, ჩემო ლომკაცი?

— მერე და... ასე ერთი საათის შემდეგ, როცა თემში დავბრუნდი, ყვირილ-ღრიალი და ჯგლითი-სირბილი სიცილ-კისკისად და მუსაიფობად იყო შეცვლილი...

ბრუსილოვზე ლაპარაკისათვის რომ ბოლო მოეღოთ, საპატიო თავად-აზნაურობის თხოვნით მღვდელ-მთავარმა სთხოვა ყველას ბურთის თამაში ისევ დაეწყოთ. არ გაუწბილებიათ მისი თხოვნა, როგორც ქრისტეს მაგიერი კაცის, მაგრამ გულიანათ ველარ თამაშობდნენ: ყველას ღიმილი და ოხუნჯობა ეკრა პირზე წინა წამს ნახულსა და გაგონილზე. ერთი გაცინება და ხმა მაღლა დალაპარაკება ამ სასაცილო შემთხვევაზე თითოეულისათვის ღირდა თითო სოფლათ...

როგორც იქნა მოესწრენ თამაშის გათავებასაც.

ლელო ცხვირგძელიშვილებმა გაიტანეს.

ორთავე მხარეს ისე ეჩქარებოდა გულის შეჯერება იმ სააშიკო, თვალით ნანახ ამბავზე ლაპარაკითა და ყბათ აღებით, რომ არც ლელოს გამტანს დაუცია დიდხანს გამარჯვების კიჟინა, და არც მეორე მხარეს დასწყვეტია მაინცა და მაინც გული.

სუფრიდან არავისას არ ამდგარან მეორე დიღიამდე. ისე ხალისიანათ იშვიათათ მოულხენიათ, როგორც მაშინ, მონასიბათ თქმულ შაირებს, იგავებს, მოსწრებულ სიტყვებს ზომა არ ჰქონდათ, როგორც გულით სიცილსაც. ქარაგმით ლაპარაკს ხომ მაშინ. ალო დაუდგა. რაღა თქმა უნდა, რომ ყველაფერი ამის საგანი ბრძანდებოდა ბრუსილოვი... აიღებდა, მაგალითად, ამის დროს ერთი ვინმე ორ ყანწს, ან დანას, ისე შერჩევით, რომ ერთი უგრძესი ყოფილიყო მეორეზე და ეტყოდა მეზობელს: ამ ორში რომელს აირჩევ?.

— მე... მე... ამ მოგრძოს: ღვინო უფრო მეტი ჩავა შიგ და ბატონი ბრუსილოვი-კი მოკლეს აირჩევდა, რადგან ის უფრო ლამაზია! ან ჯ

— მე ამ მოგრძოს, რადგან უფრო დიდ ნაჭრებს მოვთლი ბეჭს და ბრუსილოვი-კი მოკლეს აირჩევს, მიტომ რომ უფრო მოსახმარია სხვა რამისთვისაც...

ყველაზე გვიან ლხინი გათავდა იმ ლამაზ ქალისას, მე რომ მოგახსენეთ... თუმცა მისი ქმარი, უჩასნაჩალიკის მდივანი, წინადღით ფიცხელი მოწერილობის ძალით რაღაც საქმის გამო სხვაგან იმყოფებოდა, მაგრამ ამას არ დახედა სტუმართ-მოყვარე დიასახლისმა და იმდენს ეცადა, რომ ბრუსილოვი იწვია სადილათ. უდარბაისლესი თავად-აზნაურნი, საუკეთესო მომღერლები და მაცეკვარნი მისას ჩავიდენ, რა-კი შეიტყეს, ვინ ჰყავდა სტუმრათ... მეც იქ გეახელი. სამაგალითო მასპინძელი იყო და სტუმრებმაც შვენიერათ მოულხინეს... უზარ-მაზარ ჭანდრებს ქვეშ გაშლილ სუფრას ორი დღე და ღამე არ დაკლებია არაფერი, რაც პირს იამებოდა და კუჭს დაატკბობდა.

სანთლის ანთებისას დიასახლისს თავი ასტკივდა, გვითხრა, ჩემს მაგივრობას ეს ჩემი ნათესავი მზეჯავარი გაგიწევსთო და თითონ წავიდა. შუაღამისას, როცა ცოტა გაუჯდა თავში საჯაოხურის წვენი, ბრუსილოვმაც ბოდიში მოითხოვა, ხვალ ადრე ვარ წასასვლელი საქმეების გამოვო და დასაძინებლათ წაბრძანდა. გზაზე გავეგე ფეხქვეშ და წამოვუყაჭე რაც-მქონდა შესავედრებელი... კარგი, კარგიო დამპირდა, მაგრამ რათ გინდა... დაპირება ქართლური იყო და მოტყუილება რუსული“...

უცებ შედგა ჩემი ცხენი და ჩემი თანამგზავრის ჯორიც. თურმე მასპინძლისას მივსულიყავით. ჭკუიანმა პირუტყვებმა შეკვატყვეს, რომ რა საგნისათვისაც მათს ზურგზე შევსხედით, იმას გადავცილდით და თავისით შედგნენ. მასპინძლებმა მოგვკრეს თვალი და ისე გულ-მხიარულათ გამოგვეგებენ, რომ ჩემი ყრონტიც გაიტაცა მათთან დარბაისლურათ მისალმების მზადებამ. ეხლა სულ ბუკით რომ გეყვირათ, მას ველარ გაგონებდით ვერც ბრუსილოვს, ვერც მისი ატმანის „მოკლეს“ და ვერც მანდილაშვილის „მოჰკლეს!“...

თ. მაგმაძე

ხასან ზეინალ-ოღლიმ—ორი აბაზი, არსენ იმედაიშვილმა—ორი აბაზი, გიორგი სანაძემ, აბდულ ალი-ოღლიმა და გეორკ ბოზოიანმა—ათ-ათი შაური, გალუსტოვმა ა. —ორი აბაზი, მელიტონ კაკაბაძემ, ქრისტეფორე ხანთაძემ, იაგორ გიგაშვილმა და კონწელიძე უსუფ ადამ—ათ-ათი შაური, აბაზ-ალი რიზა-ოღლიმა და ნიკიფორე სადრაძემ—ექვს-ექვსი შაური, ლევან ყვანიამ —ერთი მანეთი, ბერტმან კარპოვსკიმ—სამი მანეთი, ს. ნ. რუხაძემ—სამი შაური, ჟინელმა—ექვსი შაური, ლაგინოპულომ—ორი აბაზი, ოგანეზ უმანოვმა—ორი აბაზი, კ. ი. კერახიდისმა, ბეჟუაშვილმა ნესტორმა, მუსტაფა-ოღლი ეუბემ, მურზა ქვარცხავამა და სპირიდონ გურგენიძემ—თითო მანეთი, დურმიშ ოღლი მუსტაფამ—ორი აბაზი, №-მა—აბაზი, რეიზ ოღლი ოშურმა—ათი შაური, ივანე გუგუშვილმა და ივანე გულუამ—თითო მანეთი, ზურამ ბარძიმიშვილმა—ორი აბაზი, ბარიკ დარშანიანმა და მიხაილ სადრაძემ—თითო მანეთი, ხან ოღლი აღა ხასანმა—ათი შაური, კახიანმა რაჟდენმა—ხუთი მანეთი, არტემ დურგალოვმა—ათი შაური, კირილე ჯორბენაძემ—ერთი მანეთი, ყაზარ ასატუროვმა, პაპო იზრაილოვმა, დავით შარაბოვმა, ასატურ ნიკოგოსიანცმა და როსტომ კვახაძემ—ათ-ათი შაური, პეტრე ესიავამ—სამი აბაზი, იაკობ ტამაზოვმა, ფარნა იოსავამ, ივანე მანტიკოსმ, არხიპ გამყრელიძემ, არსენ სანიკიძემ, ბესარიონ გორდაძემ, ქიშვარდი ნიკოლაიშვილმა, №-მა, დიასამიძემ, შ ვერდი დავიდოვმა, ქრისტეფორე ხანთაძემ, ახმპატელოვმა, ექვთიმე ბექაიამ, თადეოზ კალაძემ, ივანე ნოდიამ და ჯაბულო შავდიამ ათ-ათი შაური, გრ. ვოლსკიმ—ერთი მანეთი და სამ-აბაზ უზალთუნი, სულ—60 მანეთი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრეფილი ამბები)

—

ერთ ნემენცურ ჟურნალში („Das Magazin für Litteratur“) იბეჭდება ვრცელი წერილები რუსეთის ლიტერატურის შესახებ. ავტორი ბენნო დიდრიხი პუშკინიდგან იწყობს და აი, სხვათა შორის, რასა სწერს: „რუსეთის ლიტერეტურა ჩვენში მოდად გარდაიქცა. მწერლობა ქება-დიდებით იხსენიებს ლეო ტოლსტოის; გაზეთები მრავალ წერილებსა ჰბეჭდავენ „ჩაგრულთა პოეტის“ მაქსიმ გორკის შესახებ. ყველგან შეჰხვდებით წერილებს და ფელეტონებს, რომლებშიაც მკითხველებს აცნობენ ჩეხოვისა, კოროლენკოსი და რუსთა სხვა მწერლების ნაწარმოებებს. ამ მოდის გამო ერთნი დიდად და დიდად აქებენ რუსეთის ლიტერატურას, მეორენი კიდევ ეჭვის თვალით უყურებენ. ასეთის უკიდურესობათაგან სწორს და მართალს სიტყვას ვერ მივიღებთ. ხოლო ასეთი სწორი სიტყვა დიდად საჭიროა ჩვენთვის. რუსეთის ლიტერატურა თავისებური ნაყოფია თავისებურ დროსი და თუმცა იგი კვალ-და-კვალ მისდევდა ევროპის ‘ონებრივ მოძრაობას, მაგრამ არგინალური სიმშვენიერეს მაინც არ არის მოკლებული. რუსეთის ლიტერატურის გაცნობა პუშკინიდგან უნდა დაიწყოს: პუშკინია ლიტერატურის ახალ ხანის მამად-მთავარი.“

* * *

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ოსტროვსკის დრამა „Гроза“ კ. ესიევს ოსურს ენაზედ გადაუთარგმნია.

* * *

ამას წინად ქრისტიანიაში არსებულ გეოგრიფიულ საზოგადოების კრებაზედ ნორვეგიელ მკვლევარს კარლ ლუმგოლცს საინტერესო მოხსენება წაუკითხნია იმ მექსიკელ ინდიელთა შესახებ, რომელნიც დღემდე გამოქვაბულებში სცხოვრობენ. ავტორს დაწვრილებით აუწერია ამ ინდიელთა ცხოვრება, იმათი ზნე-ჩვეულებანი, ხასიათი, წყობილება. ეს ინდიელები დასავლეთ სიერრა-მადრეში სახლობენ და დღესაც ისე სცხოვრობენ, როგორც ამ ათასის წლის წინად. ლუმგოლცი იმათ შორის დასახლებულა. ველურნი ისე შესჩვეოვან, რომ ერთ წინამძღოლს ცოლად თავისი ქალიც-კი შეუძლეოვა. ეს წინადადება უარ-უყვია, მაგრამ მათის მეგობროებით კარგად უსარგებლნია და შეუსწავლია იმათი ენა, სარწმუნოება, ჩვეულებანი. ბევრი საინტერესო ნივთები წაუღია იმადგან ლუმგოლცს, ნაწილი ამ ნივთებისა ნიუიორკის მუზეისათვის შეუწირნია. ამ ჟამად ლუმგოლცი დიდ შრომას ამზადებს თურმე ამ ინდიელთა შესახებ.

* * *

ერთი ჩიკაგური გაზეთი საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს მკურნალ ქალთა რაოდენობის შესახებ მთელ დედამიწის ზურგზედ. როგორცა სჩანს, მთელ დედამიწაზედ 8,000 მკურნალი ქალი ყოფილა აქედგან შეერთებულ შტატებში—6,000, ინგლისის იმპერიაში—400, რუსეთში—700 (?), საფრანგეთში—85, იტალიაში—20. ინ ოეთში 133 საავადმყოფოში მკურნალებად მხოლოდ ქალები არიან. ერთი მკურნალი ქალი ქაირშია, ერთიც ალექსანდრიაში. ერთი შვეიცარიელი ქალი მკურნალად არის აბაშეთის ნეგუს მენელიკთან. იტალიის დედოფლის ლეიბ-მკურნალიც ქალია.

* * *

ამას წინად პარიჟში ერთ არისტოკრატიულ ოჯახს საგანგებო სადილი გაუმართავს. როდესაც სტუმრები სასადილო ოთახში შეკრებილან, ორ რამეს მიუქცევია იმათი ყურადღება: ერთ იმას, რომ სტოლზედ საჭმელების მენიუ არსადა სჩანდა, მეორე კიდევ—სტოლზედ შუა ადგილას იდო უზარმაზარი კონა ცოცხალის ყვავილებისა როდესაც პირველი კერძი გაუთავებიათ, ყვავილებს შრიალი დაუწყვიათ და ცოტა ხანს უკან ამ ყვავილებიდგან ამოსულა ცნობილი მომღერალი ქალი მარგარიტა დევალი, სიმღერა დაუწყვია და ამ სიმღერაში შეუქია შემდეგი თავი საჭმელი. ასე ყოველ თავის შემოტანის წინ ქალი ყვავილიდგან ამოდიოდა და მღეროდა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან“).

8 ოქტომბერი

პეტერბურგი. 8 ოქტომბერს დაბრუნდა პეტერბურგში დიდის მთავრის ვლადიმირის ასული ელენე.

8 ოქტომბერს მოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე.

ოდესსა. ზღვაზე ეს ოთხი დღეა ძლიერი ღელვაა. სიცოცხლენი დადგა. დღისით 5 გრადუსია.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სორმოვის დამბის აგების დროს ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა საქმე. დამცველთა სიტყვების შემდეგ კრება გადასდვეს და დღეს განაახლეს. პალატამ, ნახევარ საათის თათბირის შემდეგ, წაიკითხა განაჩენი, რომლითაც ინჟენერ ალექსანდროვს გადაეწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება; ინჟენერს შნაკენბურგს გადაეწყვიტა სასტიკის საყვედურის გამოცხადება, მაგრამ სასჯელისაგან იგი მანიფესტის გამო განთავისუფლებულ იქმნა. დანარჩენი ექვსი ბრალდებული გაამართლეს; დავა 50,000 მნეთის შესახებ უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

მოსკოვი. აღმოაჩინეს, რომ ქალაქის საყასბოსთან არსებულ ქონის ქარხნებიდგან სისტემატიურად ქონი უპარავთ. აკლია 100 ათას მანეთის ქონი. იპარავდნენ მუშები ჰ ჰყიდნენ იაფად ევდოკიმოვის საპნის ქარხანაში.—დღეს სამაზრო საეროზო კრებას ლაპარაკი ჰქონდა პუშკინის სახელობის უმაღლეს სახალხო სკოლის დაარსების შესახებ. სკოლაში უნდა ასწავლონ ისეთი საგნები, რაც გლეხ-კაცის ცხოვრებაშია გამოსაყენებელი.

სოხუმი. დღეს დილით პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენ ბურგისა „ქსენიას“ გემიდგან სოხუმის ოლქის სოფელ გაგრში გადავიდა სანატორიის გასამართავად სახაზინო ადგილზედ, რომელიც ბიწად-მოქმედების მინისტრმა გადასცა.

გააგა. ბურთა დელეგაციას ისეთი ცნობა არა მოსვლია-რა, რაც უარსა ჰყოფდეს ამბავს დევეტის სიკვდილის შესახებ. ბურების დელეგატებს არა სჯერათ ეს ამბავი; იმათის აზრით, დევეტის უმოქმედობა სხვა მიზეზით აიხსნება.

9 ოქტომბერი.

პეტერბურგი. მისის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის მთავარი გამგე ტანეევი დაბრუნდა და თანამდებობის ასრულება შეუდგა.—შავის ჭირის მხრით საშიშად არის ცნობილი კონსტანტინეპოლი და ნუმეა (ახალ კალედონიაშია).

ნილოვიცი. შეკსნაში წყალმა ძლიერ იკლო. ბურკოვიდგან ჩაიკამდე გემები ვერ დადიან.

პრეტორია. 2 ოქტომბერს გამოქვეყნებულ იქმნა ახალი სია ბურების ტყვე-წინამძღოლთა, რომელთაც სამხრეთ აფრიკიდგან განდევნა გადაუწყვიტეს. სიაში 12 კაცია მოქცეული, რომელთა შორის შიპერსიც არის.

ლონდონი. ინდოეთის ვიცეკოროლი დეპეშით იუწყება, რომ დიდი წვიმები მოვიდა ბენგალიასა, ორისსა და გაიდერაბადის შუა პროვინციების აღმოსავლეთ ნაწილშია. მოსავალისათვის საკმაო წვიმა მოვიდა ბერარსა, ჩრდილოეთ დეკანსა და გატშერეტში. მოსავალს ეხლა უფრო კარგი პირი უჩანს, მაგრამ რაჯპუტანში შემოდგომის მოსავალი ცუდია. გუჯერატსა, მალვსა, ბავაპარსა და რაჯპუტანში მოსავალი თითქმის სულ დაიღუპა. აიმარის, პენჯამის და სხვა ადგილების სარწყავ ოლქებში კარგის მოსავლის იმედია.

სოფია. გუშინდელს დამატებით არჩევნებზედ მთავრობის დასების მომხრე არჩეულ იქმნა 18 კაცი, მათ შორის 11 ცანკოვისტია და 7 კარავეროვის დასის წევრი.

პეკინი. აქაურმა უმაღლესმა მოხელეებმა ცნობა მიიღეს, რომ ტახტის მემკვიდრე დანიშნული იქმნება იმპერატრიცისა და პრინცის ცინის კაიფინში შეხვედრამდე, სადაც საზოგადო თათბირი მოხდება სახელმწიფო საქმეების გამოო. ამბობენ, რომ იმპერატრიცის კანდიდატად ტუანის ძმის-წული ლუნბეიძიაო. რეფორმების მომხრე დასი წინააღმდეგია ამისა და ჰფიქრობს, რომ, თუ იმპერატრიცა თავისას არ დაიშლის და ამ კანდიდატურაზედ ხელს არ აიღებს, სახელმწიფონიც წინააღმდეგნი იქმნებიან.

ესპანიის ელჩი კოლოგანი ხვალ პეკინიდგან მიდის. სადიპლომატო კორპუსში უფროს ელჩად ეხლა ავსტრიის ელჩი ბარონ ვალბორნი იქმნება.

განცხადებანი

საოფთეაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადისტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელად ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც (ადრესი) რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშიც გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ —провизору Алхазову.

(100—43—97)

პატივცემულ ქართველ საზოგადოებას



გვაქვს პატივი ვაუწყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენმა ... ვაჭრო ფირმამ საზ. ვარ-გარეთიდგან მიიღო მრ. ავალი ... ლისა და ფეხის საკერავი მაშინა სხვა-და-სხვა ფაბრიკებისაგან. ჩვენი საკაჭრო ფირმა პირიანად ჰყიდის სხვა-და-სხვა სისტემის ნაშინებისა ამასთან მყიდველს დ ეთმობა მაშინა მომეტებულ პროცენტით, ვიდრე სხვა ან სადმ ტფილისში რისთვ. საც ყველ მაშინის შეძენის მ ურეველ ვთხოვთ მობძანდეს და ... წმუნდეს სინამდვილეში.

ფირმის წარმომადგენელი გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯმუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა, № მაღაზიისა 5 და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯემუხაძე, ტელეფონი 75.

(25—16—15)

СЪ СЕНТЯБРЯ

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА IV-Й ГОДЪ

(съ октября 1901 по октябрь 1902)

Ежемѣсячнаго Иллюстрированнаго Изданія:

ИСКУССТВО

и

Художественная Промышленность,

выходящаго безъ предварительной цензуры подъ ред. Н. П. СОБКО,

съ однотонными и многоцвѣтными снимками въ текстѣ и на особыхъ листахъ.

Съ 1901 г. журналъ печатается въ *собственной* типографіи.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА въ годъ *за 24 №№ съ особыми приложеніями* (въ общемъ *до 1000 стр* текста и *около 500 снимковъ*): безъ дост. *8 р.* съ дост. и перес. *10 р.*; за гран. *12 р.*

Разсрочка допускается на условіи взносовъ; 1) по 5 руб. *въ полугодіе* (въ сентябрѣ и февралѣ); 2) по *четвертямъ года*—по 3 руб. при подпискѣ и въ началѣ 2-го полугодія (въ февралѣ) и по 2 руб. черезъ три мѣсяца послѣ 1-го и послѣ 2-го взноса; 3) *помѣсячно* (исключительно для городскихъ подписчиковъ)—по 2 р. при подпискѣ и по 1 р. въ теченіе слѣдующихъ 6-ти или 8-ми мѣсяцевъ.

Въ отдѣльной продажѣ—по *1 р.* за книгу журнала и по *25 к.* за № «Хроники» безъ перес.

Пробная книжка высылается *лишь по присылкѣ 1 р.*, съ наложеніемъ почтовыхъ расходовъ на саммую отправку, причѣмъ рубль этотъ зачисляется впослѣдствіи при подпискѣ на журналъ.

Тисненыя коленкоровыя съ кожанными корешками *покрышки* обходятся по *1 руб.* на каждый томъ безъ перес.

Иногородные подписчики во избѣжаніе излишихъ проволочекъ въ доставкѣ подписки черезъ книжные магазины, благоволятъ обращаться *преимущественно* въ Главную Контору: *С.-Петербургъ, Почтамтская, 6.*

Книгопродавцамъ и *учащимся* дѣлается уступка *отъ 40 до 60 коп. съ годоваго экземпляра*, смотря по роду подписки.

За перемѣну адреса взимается *50 коп.* деньгами или почт марками.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ *полные экземпляры* первыхъ 3-хъ лѣтъ журнала того же наименованія продаются по *10 р.*, съ пер. *по 12 р.*

(3—у—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.